

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

15 მაისი, 2019 წელი

დადგენილება №04-01/71

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის
პოლიტიკის დამტკიცების შესახებ**

ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 25 მარტის სხდომაზე დამტკიცდა პროექტის მომზადების გეგმა და განისაზღვრა ვადები. პროექტის საბოლოო ვერსია მოწონებულ იქნა სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 02 მაისის სხდომაზე.

ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პროექტი შედგება შესავლის, ზოგადი დებულებების, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების, განხორციელების მექანიზმებისა და დასკვნითი დებულებებისაგან. პროექტი მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე შემოქმედებით და სამეცნიერო მიმართულებებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, თანახმად დანართისა.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

მ. ჭიჭილეიშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შესავალი

ინტერნაციონალიზაცია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მონაწილეობა საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში უნივერსიტეტისაგან მოითხოვს, როგორც ადამიანური რესურსებისა და სტუდენტების შესაბამის მომზადებას, ასევე მატერიალური ბაზის სრულყოფას თანამედროვე სტანდარტებით.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას საფუძვლად უდევს განვლილ წლებში უნივერსიტეტის მიერ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

ხელოვნების უნივერსიტეტი 2012 წლიდან არის ევროპის ხელოვნების უნივერსიტეტების საერთაშორისო ლიგის (ELIA) წევრი, უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყნის 30-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

ხელოვნების უნივერსიტეტის ორგანიზებით სისტემატურად ტარდება საერთაშორისო ფესტივალები, სამეცნიერო კონფერენციები, ერთობლივი შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროექტები.

უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ საერთაშორისო შემოქმედებით და საგანმანათლებლო ფორუმებში, სამეცნიერო კონფერენციებში, მათი სტატიები იბეჭდება უცხოეთის სამეცნიერო კრებულებში.

საერთაშორისო მობილობის მიზნით უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისურ ენაში მომზადებას, რისთვისაც გახსნილია მოსამზადებელი კურსი, სტუდენტებისათვის კი, სავალდებულო კურსების გარდა, შექმნილია ინგლისურ ენაში დამატებით მომზადების პროგრამა.

ხელოვნების უნივერსიტეტი მასტერკლასების, საჯარო ლექციებისა და ვორკშოპების ჩასატარებლად სტუმრად იწვევს უცხოელ პროფესორებსა და დარგის სპეციალისტებს.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან „EBSCO“-თან და „ELSEVIER“-თან (Scopus; Science Direct; Scival Funding(Funding Institutional).

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, რომელიც დაფუძნებულია ქვეყნის განათლებისა და კულტურის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე.
2. ხელოვნების უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას განსაზღვრავს მართვის ორგანოები და წარმართვას დარგობრივი სტრუქტურული ერთეულები.
3. უნივერსიტეტის დარგობრივი სტრუქტურული ერთეულები ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვისას ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით,

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და დარგობრივი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

4. დარგობრივი სტრუქტურული ერთეულები ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების ნაწილში ანგარიშვალდებული არიან უნივერსიტეტის მართის ორგანოების წინაშე.
5. დოკუმენტი განიხილება ყოველი წლის დასაწყისში, მიმდინარე წლის პოლიტიკაში შესაბამისი ცვლილებებისა და განახლების განხორციელების მიზნით.

მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი

ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანია:

1. პარტნიორობა უცხოეთის უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
2. თანამშრომლობა საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროფესიულ გაერთიანებებთან/ასოციაციებთან.
3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან დამატებით სტუდენტების ინგლისურ ენაში მომზადების მიზნით ღონისძიებების განხორციელება.
4. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ინგლისურენოვანი კურსების მომზადება.
5. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა.
6. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა.
7. საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა.
8. უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების მოწვევა;
9. საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
10. ხელოვნების უნივერსიტეტში საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების, საერთაშორისო ფესტივალების, კონკურსების, კონფერენციებისა და სხვა საერთაშორისო პროექტების ორგანიზება.
11. უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულების სარედაქციო საბჭოებში პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების ჩართვა და უცხოელი მკვლევარების ნაშრომების გამოქვეყნება.
12. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

1. ვიზიტი უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში წინასწარ დაგეგმილი პრიორიტეტებისა და მიმართულებების მიხედვით.
2. საერთაშორისო საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა.
3. უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.
4. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა უცხოელი მოქალაქეებისათვის.
5. სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერი სერვისები (მისაღებ პროცედურებში დახმარება დოკუმენტების მიღების, თარგმანისა და აღიარების პროცესებში და სხვ.).
6. უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ვებგვერდი და სხვა საინფორმაციო მასალა უცხოელი პარტნიორებისათვის.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. დოკუმენტი ძალაშია ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.
2. დოკუმენტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ხელოვნების უნივერსიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწორია: